სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

17 აპრილი 2026

N 21/5176

გორის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობისთვის (**გორის მუნიციპალიტეტში, მეჯვრისხევის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყლის (250000 მ³/წელიწადში) მოპოვება)** გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით სსიპ **მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს** მიერ ა/წ 16 აპრილს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია **სკრინინგის განცხადება** თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

სკრინინგის განცხადება თანდართული დოკუმენტებთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე: https://ei.gov.ge/. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/54a3a53c-78bb-45bb-a830-54dbb4d2983f. გთხოვთ, სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საკითხსა და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში უზრუნველყოთ **2026 წლის 27 აპრილის ჩათვლით** მისამართზე: დავით აღმაშენებლის გამზ. N150, 0112 თბილისი ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გიგზავნით სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს **სკრინინგის განცხადებას** თანდართულ დოკუმენტებთან ერთად და გთხოვთ, უზრუნველყოთ წარმოდგენილი განცხადების განთავსება თქვენი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ან/და აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებგვერდზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

დანართი: 3 (სამი) ფაილი

პატივისცემით,

არჩილ ადამია

სააგენტოს უფროსის მოადგილე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/5176-21-2-202604170958

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

73 თინა იოსებიძის ქუჩა,
თბილისი,საქართველო
+995 32 295 00 30

15 / აპრილი / 2026 წ.

KARR0150550342726

№ **22/2311**

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისადმი დაქვემდებარებული ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოგიდგენთ გორის მუნიციპალიტეტში, მეჯვრისხევის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით, 0.07 ჰა-ზე, 250000 მ/^{3} /წელიწადში, 25 წლით) მოპოვების სკრინინგის განცხადებას (ID_73604_246983, 09.03.2026 წ.).

ლიცენზია გაიცემა მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებაზე, სამეწარმეო დანიშნულებით გორის მუნიციპალიტეტში, მეჯვრისხევის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე. გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი (ჭაბურღილი) მდებარეობს ზღვის დონიდან 697 მეტრის სიმაღლეზე. საინჟინროგეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას.

ობიექტი არ მდებარეობს სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს, არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები, ასევე არ ფიქსირდება დაცულ ტერიტორიებთან, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და სხვა ობიექტებთან.

წიაღით სარგებლობა მოცემული კოორდინატების საზღვრებში დასაშვებია, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა არ გამოიწვევს გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.

ამ მიზნით გაცემული ლიცენზია არ გამოიწვევს წყლის, ნიადაგის, მიწის დაბინძურებას, ნარჩენების წარმოქმნას, გარემოს დაბინძურებასა და ხმაურს. ასევე არ არის მოსალოდნელი გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ცალი; გეოსაინფორმაციო პაკეტი - 3 გვ; Shp.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე


433000
434000
435000
4657000
4656000
K-38-65-B-r
ნომენკლატურის 1:10 000 მასშტაბის
ტოპოგრაფიული რუკის ნაწილი
ლიცენზიის №
700
696.0
გორის მუნიციპალიტეტის, მეჯვრისხევის
ადმინისტრაციულ ერთეულში
სასარგებლო წიაღისეულით
სარგებლობის ობიექტის კოორდინატი
№ X Y
1 433796.664 4656829.505
WGS 1984

<table>
<tr><th>პოზიცია</th><th>საინფორმაციო კითხვარი</th></tr>
<tr><td>1</td><td>წიაღითსარგებლობის ობიექტი – გორის მუნიციპალიტეტის სოფ. კვარხეთის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება.</td></tr>
<tr><td>2</td><td>წიაღითსარგებლობის ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) მდებარეობა</td></tr>
<tr><td>2.1</td><td>რეგიონი – შიდა ქართლი</td></tr>
<tr><td>2.2</td><td>მუნიციპალიტეტი – გორი</td></tr>
<tr><td>2.3</td><td>ადმინისტრაციული ერთეული– მეჯვრისხევი</td></tr>
<tr><td>2.4</td><td>უახლოესი დასახლებული პუნქტი – სოფ. ზერტი</td></tr>
<tr><td>2.5</td><td>დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან – ქ. გორიდან დაახლოებით 15-16 კილომეტრი</td></tr>
<tr><td>2.6</td><td>მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან – აღემატება 5 კილომეტრს</td></tr>
<tr><td>2.7</td><td>მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) – მდ. მტკვრის აუზი</td></tr>
<tr><td>2.8</td><td>წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატები –
წარმოდგენილი კოორდინატები:
<table>
<tr><th>№</th><th>X</th><th>Y</th></tr>
<tr><td>1</td><td>433796.664</td><td>4656829.505</td></tr>
<tr><td colspan="3">WGS 1984</td></tr>
</table>
</td></tr>
<tr><td>2.9</td><td>ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან– 697 მ</td></tr>
<tr><td>2.10</td><td>კლიმატური პირობები – გორის რაიონის კლიმატი კონტინენტური ხასიათისაა, ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს +11.4°C, მინიმალური მრავალწლიანი ტამპერატურა -20.4°C-ია, ხოლო მაქსიმალური +39°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობაა 585 მმ.</td></tr>
<tr><td>3</td><td>ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები</td></tr>
<tr><td>3.1</td><td>მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის ღერძიდან –</td></tr>
<tr><td>3.2</td><td>მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან –</td></tr>
<tr><td>3.3</td><td>დამატებითი მონაცემები –</td></tr>
<tr><td>4</td><td>სატყეო რესურსები</td></tr>
<tr><td>4.1</td><td>სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში – არ ფიქსირდება.</td></tr>
<tr><td>4.2</td><td>ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური – არ ფიქსირდება.</td></tr>
<tr><td>4.3</td><td>განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების უბანი –</td></tr>
<tr><td>5</td><td>წიაღითსარგებლობის ობიექტის გეოლოგიური პოზიცია</td></tr>
<tr><td>5.1</td><td>წიაღითსარგებლობის ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) ჰიდროგეოლოგიური პოზიცია საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით – ფოროვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების ქართლის არტეზიული აუზი.</td></tr>
<tr><td>5.2</td><td>წყალშემცველი ჰორიზონტი – შუა და ზედა მეოთხეულის ალუვიურ-პროლუვიური ნალექების გრუნტის და წნევიანი წყლების წყალშემცველი კომპლექსი, რომელსაც ფართო გავრცელება აქვს მუხრან-ტირიფონის დეპრესიის ფარგლებში, წარმოდგენილია სუსტად შეცემენტებული ქვარგვალებიანი კონგლომერატებით, თიხების შუაშრეებით, ლინზებით და თიხებით.</td></tr>
</table>

	კონგლომერატის ცემენტი ძირითადად ქვიშიანი და წყალშეღწევადია. ნალექების სიმძლავრე აღემატება 120 მეტრს.
5.3	**ცალკეული ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) მონაცემები (სიღრმე, კაპტაჟი)** – ჭაბურღილის სავარაუდო სიღრმეა 80 მეტრი.
6	**მიწისქვეშა წყლების ხარისხობრივი დახასიათება**
6.1	**ქიმიური შედგენილობა** – აღნიშნული ჰორიზონტის წყლები ხასიათდებიან ქიმიური შედგენილობის დიდი ცვალებადობით. ძირითადად გვხვდება ჰიდროკარბონატული კალციუმიან-ნატრიუმიანი ან ჰიდროკარბონატულ-სულფატური ხშირად შერეული კათიონური შედგენილობის ტიპის წყლები, საერთო მინერალიზაციით 1 გ/ლ-მდე.
6.2	**სანიტარიული მდგომარეობა** – ჰორიზონტის წყლების სანიტარიული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.
6.3	**ტემპერატურა** – 10-13°C.
6.4	**წიაღითსარგებლობის ობიექტის დაძიების ხარისხი (სტადია)** – ტერიტორია შესწავლილია კომპლექსური ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო გეოლოგიური აგეგმვის მიზნით.
6.5	**წიაღითსარგებლობის ობიექტის შესწავლის ხარისხი**– სალიცენზიო ჭაბურღილის ზუსტი დებიტი უცნობია, მაგრამ ჰორიზონტის წყალშემცველობის ხარისხის გათვალისწინებით, მოთხოვნილი 250000 მ^3/წელიწადში რაოდენობის წყლის მიღება შესაძლებელია. საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით.
6.6	**მიწისქვეშა წყლების გამოყენების სფერო (ფაქტიური და შესაძლო)** – წყლის გამოყენება შესაძლებელია სამეწარმეო დანიშნულებით.
6.7	**სალიცენზიო პირობები წიაღით (წყალი) სარგებლობისთვის** –
6.8	**დამატებითი მონაცემები** –
7	**წიაღითსარგებლობის ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ვიზუალური შეფასება**
7.1	**წიაღითსარგებლობის ობიექტის მორფოლოგია** – სალიცენზიო ობიექტი (ჭაბურღილი) მდებარეობს ვაკე რელიეფის მქონე ტერიტორიაზე, მდ. კირბალულას მარჯვენა მხარეს.
7.2	**წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია** – საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას.
7.3	**წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია** – სტაბილურია.
7.4	**წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გართულებები** – არ არის მოსალოდნელი.
7.5	**გეოდინამიკური და გეოეკოლოგიური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა** – არ საჭიროებს.
7.6	**დასკვნები და რეკომენდაციები** – 1. სალიცენზიო ობიექტი (ჭაბურღილი) მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის მეჯვრისხევის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე; 2. საინჟინრო გეოლოგიური პირობები სირთულის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას; 3. სალიცენზიო ობიექტი საჭიროებს მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას, შემოღობვასა და თავმორთულობის მოწყობას;

	4. მე-3 პუნქტის გათვალისწინებით სალიცენზიო ობიექტზე (ჭაბურღილი) წყლის მოპოვება დასაშვებია.
8	გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდვური მასალა
8.1	გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) – უ. მახნიაშვილი, ა. ქოიავა, მ. ოვანოვა.
8.2	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი – ქ. თბილისი, 1983 წ.
8.3	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № – 16176

სასარგებლო წიაღისეულის მართვის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე სერგო მკალავიშვილი

შემსრულებლები:

გ. ხაჭაპურიძე, ნ. ჩომახიძე, ა. მანძულაშვილი, ვ. ხურცილავა, ნ. ოთარაშვილი, მ. ალავიძე

შეთანხმებულია:

სასარგებლო წიაღისეულის მართვის
დეპარტამენტის უფროსი მერაბ ჩალათაშვილი